



## სამუშაოს აღწერა

ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“ („არბიტრთა ასოციაცია“) აცხადებს დაინტერესებული პირების შერჩევას არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების წესების შესაბამისად გათვალისწინებული მომკვლევითი პირის პოზიციაზე.

**პოზიცია:** მომკვლევითი პირი

**ხელშეკრულების ტიპი:** ნახევარი განაკვეთი. სამუშაო დამოკიდებულია შემოსული საქმეების რაოდენობაზე

### 1. ვაკანსიის შესახებ

საარბიტრაჟო პროცესის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისა და არბიტრაჟისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, საქართველოს არბიტრთა ასოციაციამ მიიღო ეთიკის კოდექსი, რომელიც ადგენს ქვეყნის წესების აღიარებულ სტანდარტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არბიტრებმა საარბიტრაჟო პროცესის დროს. არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის დებულების თანახმად ეთიკის კოდექსის მოთხოვნის დარღვევისთვის არბიტრს შესაძლებელია დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური საქმისწარმოების მოკვლევითი ეტაპზე არბიტრის მიმართ დისციპლინურ მოკვლევას ახორციელებს მომკვლევითი პირი და საქმეს განსახილველად გადასცემს ეთიკის კომისიას.

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, საქართველოს არბიტრთა ასოციაცია დისციპლინური საქმისწარმოების მოკვლევითი ეტაპისთვის, მომკვლევითი პირის პოზიციაზე იწვევს დაინტერესებულ კანდიდატებს.

### 2. მომკვლევითი პირის მოვალეობები

- ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევის შესახებ განცხადების ან სხვაგვარად ინფორმაციის მიღების შემთხვევაში წარმოდგენილი ინფორმაციის და მტკიცებულებების შესწავლა არბიტრის მიერ ეთიკის კოდექსი შესაძლო დარღვევის წინასწარი შეფასების მიზნით;
- საქმის მოკვლევითი დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მტკიცებულებების მოპოვება, მათ შორის საჭიროებისამებრ მოწმეების გამოკითხვა, არბიტრისგან და განმცხადებლისგან განმარტებების მიღება, ინფორმაციის გამოთხოვა ნებისმიერი პირისგან და დაწესებულებისგან;
- მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე არბიტრის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან არააღძვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- დისციპლინური საქმისწარმოების განხილვაში მონაწილეობის მიღება.



#### 4. კვალიფიკაცია

##### სავალდებულო მოთხოვნები:

- მინიმალური მოთხოვნას წარმოადგენს ბაკალავრის ხარისხი იურიდიული მიმართულებით (მაგისტრის ხარისხი იურიდიული მიმართულებით ჩაითვლება უპირატესობად);
- არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული მუშაობის გამოცდილება იურიდიულ სფეროში;
- პროფესიული ეთიკების საკითხების ცოდნა;
- უპირატესობა ჩაითვლება უცხო ენის და არბიტრაჟის სფეროს/პრაქტიკის ცოდნა;
- ასაკი: მინიმუმ 30 წელი

##### პიროვნული უნარ-ჩვევები:

- პიროვნული დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი;
- პროფესიული რეგულაციების მიმართ ინტერესი;
- რთული/კრიზისული საუბრების მართვა, ეფექტიანი კომუნიკაცია;
- ანალიტიკური აზროვნება;
- მცირე ვადებში საქმის ეფექტიანი მართვის უნარი;
- იურიდიული კვლევის გახორციელების და წერის უნარი;

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

- განცხადებების გადარჩევა
- გასაუბრება

დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ 1. რეზიუმე (CV); 2. სამოტივაციო წერილი (რატომ მიაჩნიათ რომ არიან კარგი კანდიდატები მომკვლევის ფუნქციის შესასრულებლად და რა ინტერესი აქვთ განახორციელონ ეს როლი), შემდეგ მისამართზე: [gaa.arbitration@gmail.com](mailto:gaa.arbitration@gmail.com). საბუთების გამოგზავნისას, ელექტრონული ფოსტის საგნის გრაფაში გთხოვთ, მიუთითოთ: მომკვლევი პირი